მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინა ჯანდაცვის პროფესიონალების სწავლების პროცესში

(Evidence based Medicine)

მეთოდური რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის

მასალა მომზადდა ამერიკის ჯანმრთელობის საერთაშორისო კავშირის ფინანსური მხარდაჭერით მცხეთა- მთიანეთის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის რეგიონული დეპარტამენტისა და მილვოუკის ჯანმრთელობის ტრეინინგის საერთაშორისო ცენტრის პარტნიორული პროგრამის ფარგლებში

თბილისი

2003

მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინა (Evidence Based Medicine)* ჯანდაცვის პროფესიონალების სწავლების პროცესში

პროგრამის ანოტაცია

მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინა მზარდი მნიშვნელობის ასპექტია და მასზე სათანადო ყურადღების გამახვილებას არსებითია სამედიცინო პერსონალის პროფესიული წვრთნისა და უწყვეტი სამედიცინო განათლების პროცესში.

მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინის კონცეფცია, ჯერჯერობით ბევრი პრაქტიკოსი ექიმისთვის აბსტრაქტულ განზომილებაში რჩება. მათთვის გაუგებარია მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინის ენა, რაც თავისთავად შეუძლებელს ხდის სამეცნიერო ლიტერატურის შეფასებას და იქ წარმოდგენილი ინფორმაციის ინტერპრეტაციას. აქედან გამომდინარე, არც იმას უნდა მოველოდეთ, რომ სამედიცინო პროფესიონალი, რომელიც არ ფლობს სამეცნიერო ნაშრომის კრიტიკული შეფასების ჩვევებს და ვერ აცნობიერებს, თუ რა უდევს საფუძვლად გადაწყვეტილებას ამა თუ იმ კლინიკური, პოლიტიკური, თუ ეკონომიკური მოქმედების განხორციელების თაობაზე, შეძლებს პაციენტს ეფექტური და ეფექტიანი სამედიცინო მომსახურება შესთავაზოს.

წარმოდგენილი სასწავლო პროგრამა დაგეხმარებათ, კლინიცისტებს გააცნოთ მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინის მნიშვნელობა. პროგრამა საინტერესოა ჯანდაცვის ნებისმიერი პროფესიონალისთვის, თუმცა იგი განსაკუთრებით ღირებულია იმ პირებისთვის, რომლებიც აწარმოებენ სამედიცინო პროფესიონალების სწავლების პროცესს ანუ კლინიკური მასწავლებლებისთვის.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კლინიკური მასწავლებლები საუკეთესო მოდელები არიან თავიანთი მიმდევრებისთვის, ამდენად, მათ მიერ მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინის აღიარებამ კარგი საფუძველი უნდა შექმნას მტკიცებულებებზე დამყარებული ჯანდაცვის განვითარებისთვის.

პროგრამა შემუშავებულია ლონდონის უნივერსიტეტის მიერ კლინიკური მასწავლებლებისთვის შემუშავებული დისტანციური სასწავლო პროგრამის საფუძველზე (Teaching And Learning In Clinical Contexts: A Resource For Health Professionals; http://www.clinicalteaching.nhs.uk/site/LearningProgramme.asp).

მსმენელებისთვის განკუთვნილი სასწავლო მასალა ძირითადად ემყარება ზემოაღნიშნული პროგრამის ერთ-ერთ მოდულს: **Incorporating evidence based practice into teaching and learning**., (Dr. Rifat Atun, MBBS MBA DIC MRCGP MFPHM, Director, Centre for Health Management, The Business School, Imperial College London). მასალა გამოყენებულ იქნა ლონდონის უნივერსიტეტის პოსტდიპლომურ განათლების დეკანთან (Dr. Shelley Heard) და პროგრამის ადმინისტორთან (Judy Mcckim) შეთანხმების საფუძველზე. სხვა გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი წარმოდგენილია დანართში.

პროგრამაში გაშუქებულია:

- მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინის კონცეფცია
- მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინის კონცეფციის მტკიცებულებებზე დამყარებულ პრაქტიკაში ტრანსფორმაციის გზები
- ინფორმაციის ძიების პროცესი: ინფორმაციის წყაროები და სარწმუნო ფაქტების მოძიების გზები
- ინფორმაციის კრიტიკული შეფასების პროცესი
- ჯანდაცვის ეკონომიკის ძირითადი ასპექტები:ეკონომიკური შეფასების მეთოდები
- მტკიცებულებებზე დამყარებული ჯანდაცვის განვითარების პროცესში ორგანიზაციული აუდიტის მნიშვნელობა
- მტკიცებულებების დიფუზიისა და დანერგვის პროცესები

სასწავლო ამოცანები

მოდულის გავლის საფუძველზე მსმენელი გაეცნობა:

- მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინისა (Evidence Based Medicine) და მტკიცებულებებზე დამყარებული ჯანდაცვის (Evidence Based Care) კონცეფციას;
- მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინის კონცეფციის პრაქტიკაში დანერგვის მეთოდებს;
- მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინისა და მტკიცებულებებზე დამყარებული სამედიცინო მომსახურების ყოველდღიურ კლინიკურ პრაქტიკაში დანერგვის გზებს;
- ფაქტებისა და ინფორმაციის კრიტიკული შეფასების მეთოდებს;
- ფაქტების დანერგვის პროცესსა და, ამასთან კავშირში, ორგანიზაციებისა და გუნდების დინამიკას;
- გაიდლაინების შემუშავების პროცესს და მულტიდისციპლინარულ გარემოში მათი განხორციელების პრინციპებს;

მსმენელი შეძლებს:

- კრიტიკულად გააანალიზოს ფაქტები და გამოქვეყნებული სტატიები;
- იმსჯელოს ორგანიზაციებისა და გუნდების განვითარების ხელშემწყობ ფაქტორებსა და ბარიერებზე;
- გამოიყენოს მტკიცებულებებზე დამყარებულ ჯანდაცვა, როგორც ინსტრუმენტი მართვისა და ორგანიზაციული განვითარებისათვის და ხელი შეუწყოს ყოველდღიურ პრაქტიკაში საქმიანობის მონიტორინგის მეთოდების დანერგვას;

მსმენელი გაიუმჯობესებს:

- ინფორმაციის ძიებისა და ამ პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების ჩვევებს;
- სამეცნიერო ნაშრომების კრიტიკული შეფასების ჩვევებს.

პირველი სასწავლო დღე

თემა 1. მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინიდან მტკიცებულებებზე დამყარებული ჯანდაცვისკენ

თემის განხილვა მნიშვნელოვანია შემდეგი მიზეზების გამო:

სამედიცინო პერსონალის პროფესიული წვრთნის პროცესში მონაწილე კლინიკური მასწავლებლებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინის კონცეფციისა და მისი ყოველდღიურ კლინიკურ პრაქტიკაში დანერგვის გზების გაგებას. "საუკეთესო პრაქტიკასთან" მიახლოება წარმოუდგენელია უახლესი მეცნიერული მიღწევების პრაქტიკაში დანერგვის გარეშე. ჯანდაცვის პროფესიონალები და, უპირველეს ყოვლისა, ისინი, ვინც კლინიკური სწავლების პროცესს აწარმოებენ სათანადოდ უნდა აცნობიერებდნენ `საუკეთესო პრაქტიკის~ ცნებას და შეეძლოთ „ოქროს სტადარტთან“ მიახლოების გზების დასახვა.

განსახილველი საკითხები

თემის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შემდეგ საკითხებს:

- განმარტება-რას ნიშნავს `მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინა~
- მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინის მნიშვნელობა
- მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინის კონცეფციის პრაქტიკაში დანერგვის ეტაპები:
    - ცვლილების ხელშემწყობი ფაქტორების იდენტიფიცირება;
    - პრობლემის იდენტიფიცირება;
    - მტკიცებულებების ძიება;
    - მტკიცებულებების კრიტიკული შეფასება;
    - ეკონომიკური შეფასება;
    - ორგანიზაციული აუდიტი;
    - მტკიცებულებების დანერგვა;
    - საქმიანობის მართვა;
    - ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება.

სასწავლო მეთოდოლოგია:

1. ლექცია თემაზე: `მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინისა და მტკიცებულებებზე დამყარებული ჯანდაცვის კონცეფცია"
   ლექციისათვის განკუთვნილი დრო 30 წთ
2. მუშაობა მცირე ჯგუფში განსახილველი საკითხების გარშემო:

მიეცით მსმენელებს საშუალება იმსჯელონ საკვანძო საკითხების გარშემო. დაუთმეთ გარკვეული დრო მსმენელებისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი დავალებების შესრულებას, კერძოდ:

დავალება #	მოსამზადებელი დრო	პასუხის განხილვისთვის განკუთვნილი დრო
1 ა - 1 ბ	5 წთ	5 წთ
1 გ	5 წთ	10 წთ
2 ა - 2 ბ	10 წთ	10 წთ
3	5 წთ	10 წთ

თემისთვის განკუთვნილი საერთო დრო: 90 წთ

თემა 2. მტკიცებულებების ძიება

თემის განხილვა მნიშვნელოვანია შემდეგი მიზეზების გამო:

სარწმუნო მტკიცებულებების მოძიებას ჯანდაცვის პროფესიონალებისა და, განსაკუთრებით, კლინიკური მასწავლებლებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. დღესდღეობით საქართველოში სამედიცინო პროფესიონალებისთვის იოლად ხელმისაწვდომი არ არის უახლესი და მეცნიერულად დასაბუთებული ინფორმაცია, რაც რიგი მიზეზითაა განპირობებული (უცხოური ლიტერატურის სიძვირე, საინფორმაციო ტექნოლოგიებთან შეზღუდული ხელმისაწვდომობა, ქართულ ენაზე უახლესი ინფორმაციის სიმცირე და ა.შ.). ამ მიზეზების აღმოფხვრა იოლი არ არის. ხშირად კლინიკური მასწავლებელი ჯანდაცვის პროფესიონალისთვის ინფორმაციის ერთ-ერთი (შეიძლება ერთადერთიც) ყველაზე სარწმუნო წყაროა, ამდენად, მას ინფორმაციის (მტკიცებულებების) ძიების შესაფერისი ჩვევები უნდა ჰქონდეს.

განსახილველი საკითხები

თემის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შემდეგ საკითხებს:

- ინფორმაციის წყაროები და სარწმუნო მტკიცებულებების მოძიების გზები
- საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი მტკიცებულებების მოძიების პროცესში (კომპიუტერული საძიებელი პროგრამები, საძიებელი დირექტორიები, საინტერესო მისამართები)

სასწავლო მეთოდოლოგია

1. ლექცია თემაზე: „ინფორმაციის წყაროები და სარწმუნო მტკიცებულებების მოძიების გზები" - ლექციისათვის განკუთვნილი დრო 30 წთ
2. მტკიცებულებების ძიება კომპიუტერული საძიებელი პროგრამების მეშვეობით.

15 წთ დაეთმობა მსმენელებისთვის კომპიუტერული საძიებელი პროგრამების მეშვეობით მტკიცებულებების ძიების პროცესის ტექნიკური ასპექტების განხილვას. შემდეგ მსმენელები ტრენერის დახმარებით განახორციელებენ ძიებას. ერთ კომპიუტერთან იმუშავებს ორი მსმენელი. ინფორმაციის ძიების პრაქტიკულ სავარჯიშოს შესრულებას დაეთმობა 45 წთ.

თემისათვის განკუთვნილი საერთო დრო: 90 წთ

თემა 3: მტკიცებულებების კრიტიკული შეფასება

თემის განხილვა მნიშვნელოვანია შემდეგი მიზეზების გამო:

მსოფლიოში დღესდღეობით უამრავი მეცნიერული კვლევა ტარდება, რომელთა შედეგები ინფორმაციის მზარდ ნაკადში იყრის თავს. ინფორმაციის ზღვაში სარწმუნო ფაქტების მოძიება რთული ამოცანაა, რომლის განხორციელება კრიტიკული შეფასების უნარ-ჩვევების არსებობის გარეშე წარმოუდგენელია. მაგ. 1993 წელს გამოქვეყნებული 6 მილიონი სტატიიდან, მხოლოდ 350 აკმაყოფილებდა წაყენებულ კრიტერიუმებს, ასე რომ პროფესიონალებისათვის მტკიცებულებების კრიტიკული შეფასების ჩვევების განვითარებას უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. სავარაუდოა, რომ პროგრამის მსმენელთა უმრავლესობა (იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამისათვის ძირითადი სამიზნე კლინიკური მასწავლებლების ჯგუფია) ფლობს კრიტიკული შეფასების ჩვევებს, თუმცა მათი ყურადღების გამახვილება სამეცნიერო კვლევის ტიპებსა და მათი შედეგების ინტერპრეტაციაზე სასარგებლო უნდა იყოს.

განსახილველი საკითხები

თემის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შემდეგ საკითხებს:

- რას გულისხმობს ინფორმაციის კრიტიკული შეფასება
- სამეცნიერო კვლევის ტიპები
- სამეცნიერო ნაშრომის კრიტიკული შეფასება

წარმოდგენილია პრაქტიკული რეკომენდაციები იმის თაობაზე, თუ როგორ შეუძლიათ კლინიკურ მასწავლებლებს დააინტერესონ თავიანთი სტუდენტები და განუვითარონ მათ სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული შეფასების ჩვევები.

სასწავლო მეთოდოლოგია:

1. ლექცია თემაზე: „სამეცნიერო კვლევის ტიპები“ - 30 წთ
2. დისკუსია მცირე ჯგუფებში საკვანძო საკითხების გარშემო. კრიტიკული შეფასების სავარჯიშოები 60 წთ (იხ. დავალება 5, 6, 7)

თემისათვის განკუთვნილი საერთო დრო: 90 წთ

მეორე სასწავლო დღე

თემა 4. ჯანდაცვის ეკონომიკა და მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინა

თემის განხილვა მნიშვნელოვანია შემდეგი მიზეზების გამო:

ჯანდაცვის ეკონომიკის სფეროს ბევრი პრაქტიკოსი ექიმი ჯანდაცვის პოლიტიკოსებისა და ეკონომისტების პრეროგატივად მიიჩნევს და მცირე ინტერესს იჩენს ეკონომიკური ტერმინებისა და კონცეფციების მიმართ. მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინის მტკიცებულებებზე დამყარებულ პრაქტიკაში ტრანსფორმაციის პროცესი ეკონომიკური შეფასების გარეშე ვერ განხორციელდება, ამდენად კლინიცისტებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმის გაცნობიერება, თუ როგორ ვაწარმოოთ „საუკეთესო პრაქტიკა“, არამედ, აუცილებელია იმის გაგებაც, თუ როგორ მოვახერხოთ ეს „საუკეთესო ფასად“ .

განსახილველი საკითხები

თემის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შემდეგ საკითხებს:

- **ეკონომიკური შეფასების მეთოდები:**
  - ხარჯის მინიმალიზაციის ანალიზი
  - ხარჯთ ეფექტურობის ანალიზი
  - ღირებულება სარფიანობის ანალიზი
  - ღირებულება უტილიზაციის ანალიზი

გარდა იმისა, რომ მსმენელები თავად გაიღრმავებენ ცოდნას ეკონომიკური შეფასების მეთოდების თაობაზე. ისინი ასევე გაეცნობიან პრაქტიკულ რეკომენდაციებს ამ საკითხების სხვა პროფესიონალებისთვის სწავლების შესახებ.

სასწავლო მეთოდოლოგია:

1. ლექცია თემაზე: „ჯანდაცვის ეკონომიკა და მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინა“ - 30 წთ
2. დისკუსია მცირე ჯგუფებში საკვანძო საკითხების გარშემო. ეკონომიკური შეფასების სავარჯიშოები 60 წთ (იხ. დავალება 8, 9)

თემისათვის განკუთვნილი საერთო დრო: 90 წთ

თემა 5. ორგანიზაციული აუდიტი

თემის განხილვა მნიშვნელოვანია შემდეგი მიზეზების გამო:

სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და საქმიანობის შეფასების ინსტრუმენტების პრაქტიკაში დანერგვა მტკიცებულებებზე დამყარებული პრაქტიკის განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა. კლინიკური მასწავლებლები მუდმივად უნდა ამახვილებდნენ ყურადღებას მტკიცებულებების პრაქტიკაში დანერგვისთვის საქმიანობის მონიტორირების მეთოდებზე მ.შ. აუდიტზე. მნიშვნელოვანია კლინიკურ და ორგანიზაციული აუდიტს შორის განსხვავების განხილვა. კლინიკური მასწავლებლები თავიან ორგანიზაციებში უხშირესად `აზრთა ლიდერებად~ გვევლინებიან, ამდენად მათ მიერ ორგანიზაციული აუდიტის პრაქტიკაში დანერგვის მცდელობა შესაძლოა სერიოზული ბიძგი აღმოჩნდეს ორგანიზაციის შემდგომი გავითარებისათვის.

განსახილველი საკითხები

თემის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შემდეგ საკითხებს:

- აუდიტი-განმარტება, მეთოდოლოგია
- კლინიკური და ორგანიზაციული აუდიტი

სასწავლო მეთოდოლოგია:

1. ლექცია თემაზე: „ორგანიზაციული აუდიტი“ 30 წთ - თემისათვის განკუთვნილი საერთო დრო: 30 წთ

თემა 6. მტკიცებულებების დიფუზია

თემის განხილვა მნიშვნელოვანია შემდეგი მიზეზების გამო:

კლინიკურ მასწავლებლებს მტკიცებულებების დიფუზიაში სერიოზული როლის შესრულება შეუძლიათ. მათთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს მტკიცებულების დიფუზიის მოდელების განხილვა და იმ ფაქტორების გაცნობირება, რაც ხელს უწყობენ ან აფერხებენ ამ პროცესს.

განსახილველი საკითხები

თემის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შემდეგ საკითხებს:

- მტკიცებულებების დიფუზიის მოდელები
- მტკიცებულებების დიფუზიის როლი ორგანიზაციის განვითარების პროცესში

სასწავლო მეთოდოლოგია:

1. ლექცია თემაზე: „მტკიცებულებების დიფუზიის მოდელები“ - 30 წთ
2. დისკუსია საკვანძო საკითხის გარშემო - განიხილეთ დავალება #11.

აქ წარმოდგენილი რეკომენდაციები კლინიკურ მასწავლებელს დახმარებას გაუწევს სტუდენტებთან/რეზიდენტებთან ერთად, იმსჯელოს მტკიცებულების დიფუზიის პროცესზე კონკრეტულ ორგანიზაციაში (30 წთ)

თემისათვის განკუთვნილი საერთო დრო: 60 წთ

თემა 7. მტკიცებულებების დანერგვა

თემის განხილვა მნიშვნელოვანია შემდეგი მიზეზების გამო:

მტკიცებულებების დანერგვა მტკიცებულებებზე დამყარებული მედიცინის მტკიცებულებებზე დამყარებულ ჯანდაცვაში გადმოტანის, შეიძლება ითქვას, ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპია. ფართოდ დანერგილი და საიმედო ინსტრუმენტი, რაც ხელს უწყობს მტკიცებულებების დიფუზიას და ადაპტაციას კლინიკური ან პრაქტიკული გაიდლაინებია. კლინიკური გაიდლაინებისა და მათი დანერგვისთვის აუცილებელი ღონისძიებების გაცნობირება კლინიკური მასწავლებლებისთვის უდავოდ მნიშვნელოვანია. ჯანდაცვის ყველა პროფესიონალს უნდა შეეძლოს გაიდლაინების და მათში წარმოდგენილი რეკომენდაციების დამაჯერებლობის შეფასება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სწორად დაიგეგმოს გაიდლაინების დანერგვის ხელშემწყობი ღონისძიებები.

განსახილველი საკითხები

თემის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შემდეგ საკითხებს:

1. კლინიკური გაიდლაინები და მათი მნიშვნელობა კლინიკური პრაქტიკის სრულყოფის საქმეში
2. გაიდლაინების დანერგვა

სასწავლო მეთოდოლოგია

1. ლექცია თემაზე: „კლინიკური გაიდლაინები და მათი მნიშვნელობა კლინიკური პრაქტიკის სრულყოფის საქმეში“ - 30 წთ
2. დისკუსია საკვანძო საკითხების გარშემო (იხ. დავალება #12, დავალება #13) - 30 წთ
3. კონკრეტული გაიდლაინის განხილვა - 30 წთ

თემისათვის განკუთვნილი საერთო დრო: 90 წთ

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯანდაცვის მენეჯმენტის განმარტებითი ლექსიკონი, ო.ვასაძე, ც. ჯანელიძე, ლ.კობალაძე., თბილისი 2002
2. Mulrow CD, Cook D. *Systematic Reviews: Synthesis of Best Evidence for Health Care Decisions*. Philadelphia, Pa: American College of Physicians; 1998.
3. Egger M, Davey Smith G, Altman D. *Systematic Reviews in Healthcare. Meta-analysis in Context*. London, UK: BMJ Publishing Group; 2001.
4. Donald A, MD, MPP., How to Practice Evidence-Based Medicine., Medscape General Medicine 5(1); 2003
5. JR Pletcher., Clinical Epidemiology., 2001;
6. John Sandars., MRCGP: Approaching the new modular examination., 1998
7. Incorporating evidence based practice into teaching and learning., (Dr. Rifat Atun, MBBS MBA DIC MRCGP MFPHM, Director, Centre for Health Management, The Business School, Imperial College London), Teaching And Learning In Clinical Contexts: A Resource For Health Professionals; http://www.clinicalteaching.nhs.uk/site/LearningProgramme.asp